



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 461
01/03/2018

ქალაქი ბათუმი

461-05-4-201803011644



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2019-2022 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის, პირველი პუნქტის, “ე.ე” ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის, 3-ე პუნქტისა და მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის ტ.ნაკაშიძის 2018 წლის 27 თებერვლის №574-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს:

- ა) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2019-2022 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფი დანართი №1 -ის შესაბამისად;
- ბ) 2018 -2019 წლების მუნიციპალიტეტის შიდა საბიუჯეტო კალენდარი დანართი 2 - ის შესაბამისად;
- გ) საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოსაწოდებელი ინფორმაციის ნუსხა დანართი №3, №4, №5, №6, №7, №8 შესაბამისად.

2. დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის საბიუჯეტო განყოფილების უფროსს (მ.გვიანიძე) ერთი თვის ვადაში შეადგინოს:

- ა) საბიუჯეტო კალენდართან (დანართი №2) შესაბამისი საბიუჯეტო ორგანიზაციებთან შეხვედრების განრიგი;
- ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტების ნუსხა;
- ბ) კითხვარი მოქალაქეთა გამოკითხვისთვის (რისთვისაც შესაძლებელია მოწვეული იქნეს ექსპერტი);
- გ) ინსტრუქცია მოქალაქეებისაგან ახალი პროგრამების ინიცირების უზრუნველსაყოფად;
- დ) რეკომენდაციები ახლად შემოთავაზებული პროგრამების პრიორიტეტულობასა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით;
- ე) წლიური ბიუჯეტისა და პროგრამების შესრულების ანგარიშის ფორმები.

3. მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა, ადმინისტრაციულ სამსახურთან ერთად უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის 2019-2022 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია და საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის შესაბამისი სწავლების ორგანიზება.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

